შშმ პირების დღის ცენტრის მომსახურებების საჭიროებების შეფასება

გურანდა კოკილაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მონიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : პროფ. შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ლექტორს, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს, მთლიანი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ასევე, ნაშრომის მომზადებაში გაწეული მხარდაჭერისთვის.

აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრებში ინდივიდუალური მიდგომების პრაქტიკის, გაძლიერების შესაძლებლობებისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხის შეფასებას. გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია – შემთხვევის ანალიზი –, რომელიც ორი განსხვავებული დაფინანსების მოდელზე დაფუძნებული ცენტრის (ა(ა)იპ "მშობლების თანადგომა" და ა(ა)იპ "ანიკა") სიღრმისეულ გამოკვლევას მოიცავს, მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ინტერვიუებისა და დაკვირვების გზით, რაც საშუალებას იძლევა შეისწავლოს როგორც ცენტრის პროფესიონალთა ხედვები, ასევე ბენეფიციართა სუბიექტური გამოცდილება.

კვლევამ წარმოაჩინა, რომ მრავალპროფილურ გუნდსა და დონორულ დაფინანსებაზე დაფუძნებულ ცენტრში (ანიკა) ინდივიდუალური მიდგომები სისტემურადაა ინტეგრირებული როგორც ცენტრის შიდა, ისე ბენეფიციარების ოჯახურ სივრცეში (შინ გაძლიერების პროგრამა), რაც მათ დამოუკიდებლობაზეა ორიენტირებული. ამასთან, მეორე ცენტრში (მშობლების თანადგომა), სადაც მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაა, ინდივიდუალური მიდგომა სპონტანურ და არაერთგვაროვან ფორმას იღებს, ძირითადად ერთი სპეციალისტის ან ხელმძღვანელის კეთილ ნებაზე დამყარებულად. კვლევის დასკვნები წარმოაჩენს, რომ ცენტრებისთვის დამატებითი რესურსებისა და სისტემური სტრატეგიის არქონა პირდაპირ ახდენს გავლენას ბენეფიციართა გაძლიერების ხარისხზე.

abstract

This study aims to examine the current practices of individual approaches and empowerment strategies in day centers for persons with disabilities (PwDs) in Georgia, with a particular focus on their role in promoting skills necessary for independent living. The research employs a qualitative case study methodology and is based on the in-depth exploration of two day centers operating under different funding models: the NGO “Parents' Support Union” and the NGO “Anika”. Data collection involved semi-structured interviews with staff and beneficiaries, as well as participant observation, enabling a holistic understanding of both professional perspectives and beneficiaries' subjective experiences.

Findings reveal that the center supported by both state and donor funding (Anika) has institutionalized individualized support mechanisms, including a home-based empowerment program that actively involves family members. This multi-disciplinary, structured approach significantly enhances beneficiaries' autonomy and integration. Conversely, in the state-funded center (Parents' Support Union), individual approaches are inconsistent and depend largely on the initiative of specific staff members or the director, with limited access to diverse resources or professional support.

The study highlights that a lack of systemic strategy and financial flexibility in state-dependent models directly constrains the quality and scope of services provided. It concludes that expanding funding sources and introducing standardized individual support models are essential for ensuring inclusive and empowering environments in day centers for PwDs.